

მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი 2018 - ამერიკა

საბინა ბერმანი, მექსიკა

მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი

ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ტომის წევრები პატარა ქვებს ესვრიან ჩიტებს, რათა ციდან ჩამოყარონ ისინი, ამ დროს გიგანტური მამონტი გამოდის სცენაზე და ბლავის, ამავე დროს, პატარა ადამიანი ასევე ბლავის მამონტის მსგავსად. მაშინვე ყველა გარბის ...

ამ მამონტის ბლავილის ხმა გამოსცა ქალმა - მე მინდა ის წარმოვიდგინო, როგორც ქალი - საწყისი, რომელიც წარმოშობს მოდემას. სახეობა, რომელსაც შეუძლია იმის იმიტაცია რაც არ ვართ. სახეობა, რომელსაც შეუძლია სხვისი წარმოდგენა.

მოდით, ათეული, ასეული ან ათასეული წლით წინ გადავხტეთ. ტომის წევრებმა უკვე ისწავლეს, როგორ უნდა მიბადონ სხვა არსებებს: ღრმად გამოქვაბულებში, კოცონის მბჟუტავ სინათლეზე, ოთხი მამაკაცი - მამონტია, სამი ქალი - მდინარე, კაცები და ქალები არიან ჩიტები, მაიმუნები, ხეები, ღრუბლები: ტომი წარმოადგენს დილის ნადირობას, ამდენად ისინი წარსულს აფიქსირებენ, თავიანთი თეატრალური ნიჭით. კიდევ უფრო საოცარი: შემდეგ ტომი იგონებს შესაძლო მომავალს, იგონებს შესაძლო გზებს, თუ როგორ უნდა დაამარცხოს მამონტი, ტომის მტერი.

ბლავილი, სტვენა, ბუტბუტი - ხმაბაძვითი სიტყვები - ჩვენი პირველი თეატრალური სურვილი - გახდა ვერბალური ენა. სალაპარაკო ენა, გახდება წერილობითი ენა. თეატრი, გახდება რიტუალი, ხოლო შემდეგ კინო.

მაგრამ, ამ გვიანდელ ფორმებამდე, თითოეული მათგანის ჩანასახში მუდამ გააგრძელებს თეატრი ცხოვრებას. გამოხატვის ყველაზე მარტივი ფორმა. წარმოდგენის ერთადერთი ცოცხალი ფორმა.

თეატრი: რაც უფრო მარტივია ის, მით უფრო მჭიდროდ გვაკავშირებს იგი ჩვენ ადამიანის ყველაზე საუცხოო უნართან - წარმოდგენის სხვები.

დღეს, მსოფლიოს ყველა თეატრში ჩვენ აღვნიშნავთ ადამიანის ამ ბრწყინვალე უნარს. წარმოდგენის და ამდენად წარსულის დაფიქსირების - და ასევე შესაძლო მომავლის გამოგონებით, რასაც მოაქვს ტომისთვის უფრო მეტი თავისუფლება და ბედნიერება.

ვინ არიან ის მამომტები დღეს, ტომის წევრებმა რომ უნდა დაამარცხოვნი? ვინ არიან მათი თანამედროვე მტრები? რის შესახებ უნდა იყოს თეატრი დღეს, რომელსაც სურს იყოს უფრო მეტი ვიდრე გასართობი?

ჩემთვის, ყველაზე დიდი მამონტი რაც კი ოდესმე არსებულა, ადამიანის გულების გაუცხოებაა. ჩვენი დანაკარგი - ვიგრძნობთ სხვებთან ერთად: ჩვენი თანაგრძნობა ადამიანებისა და სხვა ცოცხალი ფორმების მიმართ.

რა პარადოქსია! დღეს, ჰუმანიზმის საბოლოო ნაპირებზე - ეპოქაში, სადაც ადამიანები არიან ის ბუნებრივი ფაქტორები, რამაც ძირითადად შეცვალა პლანეტა, ჩვენ ვაგრძელებთ ასე - თეატრის მისიაა - ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ტომისგან საპირისპიროდ, რომელიც წარმოდგენას ღრმად გამოქვაბულში მართავდა: დღეს, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კავშირი ბუნებასთან.

ლიტერატურაზე და კინოზე მეტად, თეატრი - რომელიც მოითხოვს ადამიანის ყოფნას სხვა ადამიანების წინაშე - საოცრად შეეფერება იმ მიზანს, რომ დაგვიხსნას ჩვენ ალგორითმებად, წმინდა აბსტრაქციებად ქცევისგან.

მოდით, მოვაშოროთ თეატრს ყველაფერი ზედმეტი. მოდით, დავტოვოთ შიშველი. რადგან, თეატრი რაც უფრო მარტივია, მით უფრო უნარიანია შეგვახსენოს

ერთადერთი უდაო ჭეშმარიტება: რომ ჩვენ ვცხოვრობთ, ვარსებობთ მოცემულ დროში, ვარსებობთ სანამ ხორცი და ძვლები ვართ, მანამდე სანამ გული გვიფეთქავს მკერდში, რომ აქ და ახლა ვართ და მეტი არაფერი.

გაუმარჯოს თეატრს! უძველეს ხელოვნებას. აწმყო დროში არსებულ ხელოვნებას. ყველაზე საოცარ ხელოვნებას. გაუმარჯოს თეატრს!

Translation Ana Kvinikadze

Biography- საბინა ბერმანი, მექსიკა

საბინა ბერმანი დაიბადა ქალაქ მეხიკოში, არის მწერალი და ჟურნალისტი. ითვლება მექსიკაში ყველაზე კრიტიკულ და კომერციულად წარმატებულ თანამედროვე დრამატურგად. ბერმანი არის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მწერალი, ესპანურენოვან ცოცხალ მწერლებს შორის.

საბინას დაბადებამდე, მის მშობლიურ პოლონეთში ებრაელებს დევნიდნენ, ამიტომ მისმა მშობლებმა თავშესაფარი მექსიკაში იპოვეს. საბინა, თავის ორ ძმასთან და დასთან ერთად ამ კონფლიქტის სრული შეგნებით იზრდებოდა და იგი დღესაც მიიჩნევს, რომ ეს იყო მის ცხოვრებაში გადამწყვეტი ფაქტორი.

მისი, როგორც მწერლის, პროფესიული საქმიანობა ეხება ძირითადად იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია მრავალფეროვნებასთან და მის თანმხლებ წინააღმდეგობებთან. მისი სამწერლო სტილი ენობრივი ბარიერების გადალახვასთან და იუმორთანაა კავშირში. იგი ოთხგზის მფლობელია ეროვნული დრამატურგიის ჯილდოს და ორჯერ აქვს მოგებული ეროვნული ჟურნალისტიკის ჯილდო. მისი პიესები დაიდგა კანადაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ლათინურ ამერიკაში და ევროპაში. მისი ნოველა „მე“ (La mujer que buceó en el corazón del mundo) თარგმნილია 11 ენაზე და გამოცემულია 33 ქვეყანაში, საფრანგეთის, შეერთებული შტატების, ესპანეთის, ბრიტანეთისა და ისრაელის ჩათვლით.

ამჟამად იგი მუშაობს კინოსა და ტელევიზიაში.